ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომგზავი

№2

1921 „ სხვა ვინ ... „ 1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929 თებერვალი

საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური და ტფილ. მიუ-ოლომის და განს. სახ. ჯომისათ. სოც. აღზ. მთავარმართ-ველობის ჟურნალი მცირეწლოვან მაყურებლისა

წელიწადი II № 2

შინაარსი.

1. 25 თებერვალი, — ლექსი ს. წეველის 1
2. პატარა კოტრინეტი, — ს. ერთაწმინდელის 2
3. ჩვენი დავალება, — ლექსი დ. კ-ის 7
4. იერიში, — ალიო მაშაშვილის 8
5. გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 8 წელს, — ვ. ლუარსამიძის 13
6. ჩვენი წითელი არმია, — ალ. გორგაძის 15
7. ჩვენი გაზეთი 1. თოვლი იწვის; 2. ხელოვნური მზე; 3. სამხრეთ პოლუსზე; 4. უზარმაზარი ქოლგა; 5. ტერმიტები; 6. ელევატორი 17
8. ზინამ წვენი მოიტანა (დასასრული) — მ. მ-ძის 21
9. შინაური კინო, — ლექსი მარიჯანის 25
10. კოტეს ჭკუამ აჯობა, — თამარ ლეჟავასი 27
11. ჩვენი მკითხველების წერილები 30
12. 25 თებერვალი, — მუსიკა გრ. კოკელაძის, სიტყვები ალიო მაშაშვილის 32

1929 წ.

„ოქტომბერელი“ გამოვა მხოლოდ ხელისმომწერთათვის.

დააჩქარეთ ხელისმოწერა!

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი, № 91.

შეკვეთა № 894 მთავლ. № 214 ტირაჟი 1300

2-94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 თებერვალი

დღეს მშრომელთა საქართველო
წითელ ალამს მართავს ზევით,
და მისი მზე სიხალისით
მოკისკასობს შუქთა ფრქვევით.

—

დღეს თავდახსნის ზეიმს იხდის
საუვარელი ჩვენი მხარე,
ბორკილები დაამსხვრია,
აღარ არის მგლოვიარე.

—

ხალხი მწყობრად სიმღერებით
მოდის ალამამართული,
და ქუჩებზე მშრომელების
ზეიმია გამართული.

—

ბავშთა გუნდიც დარაზმული
მოჭფენია ქუჩებს, მდელოს,
და მღერიან: „გაუმარჯოს
საბჭოების საქართველოს“.

სიმონ წეველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა კორნეტი

ა.

— ალიო!

ასე ეძახოდენ მას...

ეს იყო პატარა კორნეტი, ან ლეგიონის სამხედრო ორკესტრის ყველაზე პატარა მეშუსიკე, კორნეტზე დამკვრელი...

— ვინაა? საიდან?..

— ვინა და ობოლი... ქუჩაში ნაპოვნი...

— როგორ?..

— როგორ და...

სამხედრო კომისარმა დაიწყო ამბის თქმა; ის აღტაცებით ლაპარაკობდა.

ლეგიონის ახლად დანიშნული უფროსი სიამით უსმენდა.

ეს იყო შტაბის პატარა ოთახში.

ლეგიონი აღლუმზე გასასვლელად ემზადებოდა... წითელარმიელები ბრძანებას ელოდენ... ორკესტრი წინ იდგა...

წინ იდგა ალიოც, რომელსაც ფანჯრიდან უყურებდენ ჩვენი მოსაუბრენი...

ლეგთავმა დაიწყო ალიოს ამბის გამოკითხვა, და სამხედრო კომისარიც არ დაზარდა საუბარს...

ალიო პატარა ჩექმებს აბაკუნებდა თოვლზე, რომ ფეხები არ დაზროდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ორკესტრში უმრავლესობა ქუჩაში შეკრებილი ობოლი ბიჭებია, რომელნიც შეაგროვა გასაბჭოების პირველ წელსვე ჩვენმა ლეგიონმა, და ამხანაგი დოლინიც შეუდგა მათ გაწრთვნას, როგორც კარგი მემუსიკე და მეთაური. ალიო კი მე ვიპოვე, აგერ, ჩვენი უაზარმის კუთხეში, ლეგიონის შედგენა რომ დავიწყეთ, მაშინ; ის ლეგიონმა იშვილა...

ბ.

ეს იყო თებერვლის დამლევს..

ჯერ კიდევ ცივდა...

თოვლი ფიფქად ცვივდა...

ქარი ქროდა..

ეინვიანი ზამთარი იდგა...

უმზეო დღეები ჩამოწვა...

ახალგაზრდა ქართული წითელი ლაშქრის შექმნა დიდის ხალისით ტარდებოდა...

— ძია, მაჩუქეთ რამე. მცივა, მშია...

და, ამ სიტყვებთან ერთად, ხელი გამოიწოდა მორცხვად იმ ბავშვმა, რომელსაც ხშირად ვხედავდი ხოლმე ჩვენი უაზარმის წინ, ალაყაფის კარებში ატუზულს.

— ვისი ხარ, ბიჭუნი?—მივუალერსე.

— ობოლი ვარ...

— რა გქვიან?

— ალიო.

და ამ დღიდან ის ხშირი სტუმარი შეიქნა ჩვენი უაზარმის.

ლეგიონმა იკისრა მისი აღზრდა.

ძონძებში, ფეხშიშველად მოსიარულე, შეიმოსა...

მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა პატარა ფარაჯა და ჩექმები ჩაცვეს...

ის იყო ყველაზე პატარა არმიელი... წითელი უაზარმა, როგორც სწავლის კერა, მისი აღზრდის სკოლა შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ისწავლა წიგნი...

ლეგიონის კლუბში ხშირად გამოდიოდა, სცენაზე ლექსებს კითხულობდა, პიესებში პატარა როლებს ასრულებდა; ის კედლის გაზეთშიც შეეჩვია წერას, ხატავდა სურათებს, ნიჭიერი გამოდგა...

ლეგიონს რომ არ ეზრუნა მასზე, ვინ იცის, რა გამოვიდოდა ქუჩაში ხეტიალით. მართლაც რომ ასეთი აღზრდა მისი და ადამიანად გახდომა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო, რომელიც ასე პატრონობს ბავშვებს!..

წარმოსთქვა ლეგიონის თავმა.

8.

— ალიო, რა გინდა, რომ გამოხვიდე? რა უფრო გსურს ისწავლო?...

ეს ვკითხე პირველად, როცა ვიშვილეთ; მაშინ მე აქ პოლიტხელმძღვანელად ვიუავი, პირველ ასეულში.

— ძია, მინდა დაკვრა ვისწავლო რაიმე საკრავზე.

ეს იყო მისი თხოვნა, და ამხანაგი დოლინი შეუდგა მის სწავლებას.

მან ამოირჩია კორნეტი.

იგი შეიქნა მთელი ლეგიონის საყვარელი ბავში.

იმისი დედა იყო წითელი ეაზარმა, და ალიო აღმაფრენით ლაღობდა თავის ოჯახში...

სადაც ლეგიონი იყო, იქაც ის: მანევრებზე, საზაფხულო ბანაკად, ბანდიტების დევნის დროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგო ლევთავო!.. დიდი ბოდიში, რომ დღეს მუსიკას ვერ გავუძღვები, რადგანაც ციება ისევ ამიტეხა,—მიმართა დოლინმა ლევიონის თავს, რომელიც ამ ლაპარაკის დროს შემოვიდა.

მას ფერი წასული ჰქონდა, კანკალებდა, აციებდა...

— როგორ! დღეს გასაბჭოების დღეა!—შეწუხდა ლევთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ სწუხართ. ჩვენი ორკესტრი არც დღეს შერცხვება. ძე მოგცემთ სამაგიერო კაცს!—მიუგო დოლინმა.

— ვის?

— ჩვენი ჰატარა კორნეტი გაუძღვება ორკესტრს.

— ალიო?!

— დიახ.

— ჭო, არა უშავს... ჰირველად ხომ არაა. ის ხშირად მიუძღვის სოლმე, ისეა გამოწაფული; აი, თქვენ დღესვე დარწმუნდებით ამაში, ამხანაგო ლეო.—დაატანა სამხკომმა ღიმილით.

დ.

— სმენა!!—გაისმა ლეგთავის ხმა, როდესაც ბუკი დაჭრეს, და ლეგიონი ჩამწკრივდა.

ახმაურდა მუსიკა...

ჰატარა მუსიკოსი ლამაზად ამლევდა ნიშნებს.

ინტერნაციონალის ჭიმნი აზანზარებდა არეს...

საჰატიო უარაულით გამოიტანეს დროშა...

ქარის ნელ შემოქროლვაზე ფრიალებს იგი.

— წინ იარ!!— გაისმა ლეგთავის ძახილი, შესჭიხვინა მისმა ცხენმა და ტოტების ცემა დაიწყო. ამით გათამამებული სამხკომის ლურჯა ნავარდით ამოუდგა მას გვერდში...

ალიომ ხელი მაღლა აიღო, და გაისმა მარში...

ლეგიონი დაიძრა აღლუმზე ლამაზი რიგებით.

თვალწარმტაცად მორთული ქალაქი სიხარულით ეგებებოდა გასაბჭოების დღესასწაულს, საქართველო ზეიმობდა 25 თებერვალს.

ეველაზე ძალიან კი ალიო ხარობდა.

ჰატარა კორნეტი...

ამ ზეიმს თითქოს მზეც გამოეხმაურა...

მან ღრუბლის ლეგა ფარდა ასწია და ღიმილით გადმოხედა არეს...

ხეზმან ერთაწმინდელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ღაღადება

მზემ ალერსით გაიცინა,
შეწუდა თოვა, ჩადგა ქარი.
— იცი, ვანო, იცი, თინა,
რომ დღეს არჩევნები არი?!
გადასძახა თალიკომ და
სწრაფად მათთან მიირბინა.
ძალე იქვე გაჩნდენ თამარ,
ალექსი და ცელქი ზინა.
ჰაწაწინა ოქტომბრელთა
გაიმართა ჩქარი კრება.
დაადგინეს, ახალ საბჭოს
წარუდგინონ დავალებად:
ხშირად სწავლას ვერ ვესწრებით
უსეირო გზების გამო.
შეაკეთეთ უველა ხიდი,
გავიდეთ და დაგვაამოს.
შეაკეთეთ ჩვენი სკოლა,
შენობაა ერთობ ძველი;
გაგვიხსენით ჩვენ საბავშო
ხამკითხველო სასურველი.
ჩვენს სოფელში ჩვენი ტოლი
არვინ დარჩეს სკოლის გარეთ;
წრფელი გულით იზრუნეთ და
ობოლ ბავშებს მოუარეთ!..
შეწუდა თოვა.. მზემ ალერსით
დააფრქვია სხივთ კრებული;
ჰაწიები არჩევნებზე
იჩქარიან სიხარულით.

დ. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვს. ზამთრის ნიავს მკაცრი სიცივე მოაქვს მახლობელი მთებიდან.

გადათოვლილი სახლები მხოლოდ თოვლის გორაკებად მოჩანს.

ცივა. გაცრეცილ ხეზე საცოდავად შემჯდარა მშიერი ყვავი და ხარბად იყურება ქოხის სახურავიდან ამომავალი კვამლისაკენ.

თოვლი ნელი-ნელ ცვივა და მიდამოს თეთრად ბარდნის.

ათოვს სახლებს, ათოვს ხეებს და ათოვს ბებერ ყვავსაც.

აფრინდა ყვავი და მეზობლის ეზოში გადაფრინდა. ხან ფრენით, ხან ბარბაცით მიცოცდა თეთრად ამობურთულ კარავთან, აცოცდა ზევით, ფრთები დაიწურა, მიიხედ-მოიხედა და მძიმედ ჩაფიქრდა.

ეს კარავი, რომლის გადათოვლილ სახურავზე ეხლა ყვავი ზის, ჰატარა ბოლშევიკების ბანაკია. რაზმს მეთაურობს ოქტომბრელი სერგო, „ორჯონიკიძედ" წოდებული. მისი რაზმი არც ისე ცუდადაა შეიარაღებული, როგორც მტერს ჰგონია. რაზმის უფროსის თანაშემწე ლადო სწრთვნის ჰატარა ბოლშევიკების რაზმს. თოფებივით მოგრეხილ ჯოხებზე აქვთ ჩამოცმული გაყინული თოვლის ბურთულები და ისვრიან შორს, შორს—მოპირდაპირე ბანაკისაკენ.

გასროლილი თოვლის ბურთულები უშებარებივით სკდება ჰაერში და მტრების საზღვარზე ეცემა.

შორს, გადათოვლილ გორაკზე მოჩანს მტრის ბანაკი. სახურავზე ფრიალებს სამფეროვანი დროშა. უეცრად გაისმა საყვირის ხმა. ეს შტაბის უფროსი ვანოა, რომელიც საყვირის ხმაზე ჰატარა ბოლშევიკების რაზმს ბანაკისაკენ მოუხმობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადოს რაზმმა შეწევიტა სროლა. გაისმა ბრძანება, და რაზმი დოლის ხმაურით გაემართა თოვლით დაფარული ბანაკისაკენ, სადაც სადგურობს ჰატარა ბოლშევიკების რაზმი. სახურავზე წითელი დროშაა ამართული.

ლადო ხშირ-ხშირად სცემს ბრძანებას:

— ერთი, ორი, ერთი, ორი!

რაზმი მოდის ბანაკისაკენ.

მომავალი რაზმის ხმაურით დაშინებულმა ყვავმა ხანტად გაშალა ფრთები და სახურავიდან გაღმა გადაფრინდა.

ეს შეამჩნია ერთ-ერთმა ჯარისკაცმა კოლამ, სწრაფად მომართა თოფი, ჩააწო თოვლის ტყვია და ხარბად ესროლა ჰაერში ხანტად მოქანავე ყვავს. მაგრამ კოლამ მიზანს აცილა. ყვავმა აიცილა თოვლის ყუმბარა და მდინარისკენ გადაქანდა.

სახტად დარჩენილი კოლა ბრაზობს გულში და ცალიერ ჯოხს ატრიალებს ხელში. ის ამასობაში ჩამორჩა ბანაკისაკენ მიმავალ რაზმს და მალე სირბილით დაეწია ამხანაგებს. რაზმის უფროსმა მას მკაცრი შენიშვნა მისცა და რაზმის უკანა რიგში ჩააყენა. კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამ, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფა იგრძნო და ლოყები აელეწა. მაგრამ რას იზამ? მტკიცება ჯარის სამხედრო დისციპლინა.

— ერთი, ორი, ერთი, ორი, მარცხნივ იარ!—გასცა ბრძანება ლადომ და რაზმის ნაბიჯს ააყოლა თავისი ნაბიჯიც. ახმაურდა დოლი. რაზმი მიდის წინ. მიუახლოვდენ ბანაკს. კარებში გამოჩნდა რაზმის უფროსი სერგო.

— სალამი წითელ გვარდიას! მიმართა მან ბანაკის წინ გაჩერებულ რაზმს.

— სალამი!—ერთხმად შესძახეს ჯარისკაცებმა.

— ამხანაგებო,—განაგრძო სერგომ და ტრიბუნაზე შედგა,— მტერი შეტევაზე გადმოდის, წეღან ცნობა მომივიდა, რომ მტრის მზვერავები ჩვენს საზღვარზე დაძრწიან. შეტაკება მოსალოდნელია..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ვიყოთ მზად, რომ ბოლომდე დავიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი!—დაამთავრა სერგომ და რაზმს წინ გაუძღვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბოლშევიკების რაზმი სერგოს მეთაურობით უტევდა მტრების ბანაკს. რამდენიმე საათს გაგრძელდა ბრძოლა. წითლებს მოუკლეს ორი, დაუჭრეს ხუთი და დაუზიანეს რამდენიმე ჯარისკაცი.

თეთრებს კი—მოუკლეს 15 კაცი, დაჭრილი და დაზიანებული—უთვალავია.

ბოლოს ბოლშევიკების რაზმმა უკანასკნელი იერიში მიიტანა მტერზე. გამარჯვებული სერგო ამაყად შედგა ტრიბუნაზე და წაქეზებულ რაზმს გადასძახა:

— გამარჯვება ჩვენია, მტერი დამარცხდა!..

— ვაშა!—ერთხმად დაიგრიალა რაზმმა და იარაღი ტუესავით აიმართა ზევით. გამოიუვანეს ბანაკში მოკალათებული მტრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცები. დაატეხეს. ზოგი გაიქცა და იარაღი გზაზე დაუარა. შემდეგ ტეხეები წაიღეს ანგრეული ბოგირის გასაკეთებლად. ბოლშევიკებმა მოსსნეს მტრის ბანაკზე ამართული სამფეროვანი დროშა და მის მაგიერ წითელი დროშა აფრიალეს.

— ამხანაგებო, მტერი დამარცხებულია, დღეიდან ამ ქვეყანაში ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება. გაუმარჯოს უფროსი ამხანაგების შემცველელ ჰატარა ბოლშევიკების რაზმს, რომელიც მოდის ლენინის იდეების დასაცავად! სალამი წითელ გვარდიას!

— ვაშა!—იგრიალა ხმამ.

ისევ თოვს, და ზამთრის ნიავი უბერავს აღმოსავლეთიდან.

არ ჩანს ევავი და არც ევავებივით მოხეტიალე ლრუბლები. ცა თეთრია, და შორს თოვლიან მთებში მიბარბაცებს მზე.

მინდორზე გაფანტული ჰატარა ბოლშევიკების რაზმი სერგო „ორჯონიკიძის" მეთაურობით ზეიმობს უკანასკნელ გამარჯვებას.

ალიო მაშაშვილი.

„გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 8 წლის თავს!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების რვა წელს!

რვა წელი შესრულდა საქართველოს გასაბჭოებიდან. რვა წლის წინად (1921 წლის 25 თებერვალს) ბურჟუებისა და მათი დამქაში მენშევიკების მაგიერ სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელისუფლების სათავეში მუშები და ღარიბი გლეხები მოექცენ.

საქართველოს გლეხები და მათი ბავშები მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდენ, ისინი მონებად იყვნენ გადაქცეული, მათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდრები, თავად-აზნაურობა, მღვდლები და სპეკულიანტები ბატონობდენ. მშრომელი მოსახლეობა სკოლას, სინათლეს, წიგნს და ბინას მოკლებული იყო და სიმშილისაგან ავადმყოფდებოდა.

საქართველოს გასაბჭოებიდან კი ჩვენმა მუშებმა, მშრომელმა გლეხობამ და მათმა ბავშებმა არაადამიანურ მდგომარეობას თავი დააღწიეს და ადამიანურ ცხოვრებას შეუდგენ.

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოს მშრომელი ხალხი უფლებააყრილი და აბუჩად აგდებული იყო; სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ციხეები მუშებით იყო სავსე, სასახლეები კი სპეკულიანტებით, სკოლები ინგრეოდა და მუშების და გლეხების ოფლით ჯალათების რაზმებს ინახავდენ.

დღეს? საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშები, ღარიბი გლეხები და მათი ბავშები ყოველმხრივ ბედნიერი არიან და სოციალისტურ საზოგადოებას აშენებენ.

ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში ახალი ფაბრიკა-ქარხნები და ელსადგურები შენდება, გაჭეავთ გზები და არხები, სკოლები და ქოხ-სამკითხველოები მრავლდება, სოფელს ტრაქტორი დაეპატრონა, ასე რომ თუ მენშევიკების დროს საქართველოს მშრომელი ხალხი ყველა ჯურის ნაძირალის სათელი იყო, დღეს წელში გაამართულია და ლენინური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით სოციალისტურ აღმშენებლობას აწარმოებს.

მვირფასო ოქტომბრელებო და მოწაფეებო! 25 თებერვალს დარაზმულ მუშებთან, წითელ ჯართან და კომკავშირელებთან ერთად ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა თებერვლის ზეიმში.

არცერთი მოწაფე 25 თებერვალს შინ არ უნდა დარჩეს, ყველანი ქუჩებში უნდა გამოვიდეთ!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 8 წელს და საქართველოს მუშების და ღარიბი გლეხების ბელადს—საქართველოს კომუნისტურ (ბ) პარტიას!..

ჩვენი წითელი არმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტავი რას მღერიან ეს

ვანო თავის მამასთან ერთად ქუჩაზე მიდიოდა; როდესაც წითელარმიელებმა სიმღერით მწუობრად გაიარეს, ვანო შეჩერდა და წითელარმიელებს გაოგაცცებით მისჩერებოდა, მერე უეცრად თავი მაღლა ასწია და მამას შეეკითხა:

— მამილო, ნეწითელარმიელები?

— რევოლუციონურ სიმღერებს მღერიან, შვილო,—მიუგო მამამ. წითელარმიელებმა უკვე გაიარეს ის ქუჩა, სადაც ვანო და მამამისი, მიდიოდენ, ვანო კი მაინც არ ისვენებდა და მამას სულ წითელარმიელების შესახებ ეკითხებოდა.

— შვილო, რადგანაც ასე გაინტერესებს წითელი არმია, ეური დამიგდე და ეველაფერს გიამბობ.

— მამილო, მიამბე რამე,—უპასუხა ვანომ და სულგანაბული მისჩერებოდა.

— შვილო, როდესაც საქართველო გასაბჭოდა, როდესაც მუშებმა და გლეხებმა აიღეს ძალა-უფლება, წითელი არმიის შექმნის საკითხი დაისვა. რუსეთში წითელი არმია უფრო ადრე ჩამოუალიბდა, საქართველოში კი მისი შედგენა 1921 წლის თებერვლიდან დაიწყეს. საქართველოს მუშები და გლეხები დიდი ხალისით ეწერებოდენ წითელ არმიაში. მეფისა და მენშევიკების დროს თუ ჯარისკაცები საშსახურს გაურბოდენ, ახლა დიდის სიხარულით შედიოდენ წითელ ჯარში. ძველად ჯარისკაცები მეფისა და მდიდრების დამცველად გამოდიოდენ. თუმცა ჯარში მაშინაც მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გლეხები მსახურობდენ, ოფიცრები თავად-აზნაურებისა და ბურჟუების შვილები იყვნენ. ჯარისკაცებს სცემდენ და ძალდატანებით ამსახურებდენ. ამიტომ მეფის დროს ჯარში დიდი უკმაყოფილება იყო. ჯარისკაცები ოფიცრებს დატუქსული ჰყავდათ და მათი შიშით ვეღარაფერს ბედავდენ. შვილო, ახლა ყური დამიგდე და საქართველოს წითელი ჯარის შესახებაც გიამბობ. როდესაც ქართული წითელი ჯარი შესდგა, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გადაწყვიტეს საბჭოთა საქართველოს ინტერესების დაცვა და წითელ ყაზარმებს მიაშურეს. მართლაც, წითელი ჯარი რომ არ ეოფილიყო, ჩვენს მუშურ ხელისუფლებას საფრთხე მოელოდა. საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი მტერი ჰყავს. ესენია: ბურჟუები, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ვაჭრები; საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბევრი რამ დაკარგეს მათ და ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ძველი დროის აღდგენას.

ქართული წითელი ჯარი, თავის თანამოძმე რუსეთის გმირულ წითელ არმიასთან ერთად მშრომელების მტრებს ებრძვის, და მშრომელთა საბოლოო გამარჯვება წითელი არმიის სიძლიერეზეა დამყარებული. ჩვენმა წითელმა არმიამ შესძლო მდიდრებისა და მემამულეების დამარცხება, იგი დღითი-დღე მაგრდება და იზრდება. მტრები მშრომელებს ვეღარაფერს

თოვლი იწვის

ვერ წარმოიდგენთ, როგორ შევშინდი,—გვიამბო ერთმა მოგზაურმა. ჰამბურგში ვიყავი; მოვდივარ დილით ადრე თოვლში და ქუჩაზე ვხედავ—ერთი კაცი მიდის, მიაგორებს ურიკას და რაღაცა ფხვნილს აბნევს ირგვლივ. ცოტა ხანში ეს კაცი თავისი ურიკით ქვაფენილზე ამოვიდა და თოვლში ანთებული წუმწუმა გადააგდო. უცებ თოვლს ცეცხლი მოეკიდა. აინთო, აშიშინდა და წყლად გადაიქცა.

— რა ამბავია? — ვკითხე გამვლელს.—მე გავგიჟდი, თუ თოვლს მართლა ცეცხლი ეკიდება? იქნება თქვენში თოვლი ბამბის არის.

ხალხს სიცილი წასკდა.

— თოვლს კი არ ეკიდება, ფხვნილი გადააყარეს, ის ფხვნილი თოვლს რომ შეუერთდა, აირად—აცეტილენად — გადაიქცა. — ცეცხლი აცეტილენს ეკიდება, თოვლი კი დნება, და ჩვენც ეს გვინდა: ქუჩები გასუფთავდება.

მე გავუდექი ჩემ გზას, თოვლი კი შიშინობდა, ცეცხლი ეკიდებოდა, ყვითელ შუქ ჰფენდა ირგვლივ.

ალბათ, ჩვენშიც მალე შემოიღებენ ამას.

ხელოვნური მზე

ამასწინათ ამერიკაში უზარმაზარი პროჟექტორი გააკეთეს. ამ პროჟექტორის სინათლე 2 მილიარდი სანთლის სინათლეს უდრის და მზესავით ანათებს 50 კილო-



მეტრის მანძილს. ამ პროჟექტორის სხივები რომ ფოკუსის ერთ წერტილში მოაქცია, ისეთი სიმხურვალე ექნება, როგორც მზეს. ამ პროჟექტორის დანიშნულებაა გაანათოს აეროდრომები და საავიაციო გზები.

სამხრეთ პოლუსზე

ჩვენ ბევრი წერილი გვქონდა ჩრდილო პოლუსზე მგზავრობის შესახებ. სამხრეთი პოლუსიც მეცნიერი მოგზაურების ისეთსავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იქცევს, როგორც ჩრდილო პოლუსი.

წლეულს ჩრდილო პოლუსის შესასწავლად სამი ექსპედიცია წავიდა. ამჟამად გვინდა გიამბოთ, როგორ მომზადებული წავიდა ერთი ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობს მფრინავი ბერდი. ბერდის მეთაურობით გაემართა სამხრეთ პოლუსზე 100 კაცი და სამზადისზე დაიხარჯა 500.000 დოლარზე მეტი (დოლარი ჩვენ 2 მანეთს უდრის). თან წაიყვანეს და წაიღეს:

1 ყინულის მჭრელი, 2 გემი, 4 აეროპლანი, 7 ტრაქტორი, 75 ძაღლი,



6 დასაშლელი სახლი,

2000 კილო შაშხი,
2000 ,, ლორი
2000 ,, ძეხვი,
2000 ,, დამარ. ხორცი,
1000 ,, ცხვრის ხორცი,
1000 ,, წიწილები,
250 ,, ინდოური,
500 ,, მჟავე კიტრი,
1000 ,, მურაბა,
1000 ,, თამბაქო,
500000 პაპიროსი.

ამას გარდა თან აქვთ 800 ხელი საცვალი, ელექტრონის სამრეცხაო, 1000 კბილის საწმენდი, 10000 ნაჭერი საპონი, პიანინო, სამი გრამოფონი და სხვადასხვა დასაკრავი იარაღი, სხვადასხვა შინაარსის მრავალი წიგნი და დიდი რადიო. ბერდი გავიდა თავისი თანამშრომლებით ამერიკიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებში. მგზავრები როსის ყურესთან გაჩერდებიან და იქ დაიდებენ მთავარ ბინას. როსის ყურედან სამხრეთ პოლუსამდე 1400 კილომეტრია. მოგზაურების ერთი ნაწილი ძაღლებით და ტრაქტორით წავა პოლუსისაკენ და გზადაგზა ყოველ 43 კილომეტრზე დადგამს განსაკუთრებული თვისების რეზინის კარავს და შიგ დაალაგებს სანოვაგეს, თბილ ტანისამოსს და იარაღს.

ამ კარვებს დგამენ ბერდისა და მისი ორი მფრინავისათვის: იმ შემთხვევაში, თუ ისინი იძულებული გახდებიან ძირს დაეშვან, კარვები იხსნიან მათ, კარვაიდან კარავამდე ადვილად მივლენ და ამრიგად მიაღწევენ როსის ყურესთან მთავარ ბინას.

უზარმაზარი ქოლგა

ეს ამბავი ამერიკაში მოხდა.

ქალაქ ჩიკაგოს თავს დასტრიალებდა უზარმაზარი აეროპლანი.

გამვლელები გაჩერდენ და იქით-აქედან გაისმა:

— საწყლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგმა თვალებზე ხელები აიფარა, რომ არ დაენახა, უზარმაზარი აეროპლანი ძირს როგორ ვარდებოდა.

ვიღაც ქალი აქვითინდა, ხალხი იქით-აქეთ ეცა გასაქცევად, რომ აეროპლანს ქვეშ არ მოჰყოლოდა. და უცებ უცნაური ამბავი მოხდა: ძირს წამოსულ მანქანას ზემოთ დატრიალდა რაღაც ნაცრისფერი შეხვეული კვანძი. კვანძი გაიხსნა, გაიშალა და უზარმაზარ ქოლგად იქცა; აეროპლანი სათამაშოსავით ჩამოეკიდა ქოლგის ბაწრებზე და კი აღარ ჩამოვარდა, ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

აეროპლანი დაეშვა მოედანზე. უზარმაზარი ქოლგა დაიჩუტა და დაკეცილი რბილად გადაეფარა მანქანას და მფრინავებს. მფრინავები გამოძვრენ და შესძახეს:

— ჰოპ, ჰოპ, ჰოპ, ვაშა!

ისინი იყვნენ გამომგონი მაკელალი და მისი ორი თანამშრომელი, რომლებიც სინჯავდენ მაკელალის მიერ ახალ გამოგონილ „პარაშუტ-გიგანტს“, რომელიც, როგორც ხედავთ, საუცხოვო გამოდგა.

ტერმიტები (ჭიანჭველები)

ინდოეთის ქალაქ კალკუტაში ამასწინად გუბერნატორის სასახლე დაინგრა.

ერთ მოგზაურს როდესაც კარადაში ჩამოკიდებული ტანისამოსის ჩამოღება უნდოდა, ტანისამოსი და კარადა დაიფხვნა და დაცვინდა.

ერთ დაწესებულებაში, როდესაც თანამშრომლებმა კანტორის წიგნებს მოჰკიდეს ხელი, წიგნები ფხვნილად იქცა. ეს საგნები წინა დღით სრულიად მთელი და მაგარი იყო.

იმავე ქალაქში ექიმი ვილიამსონი ის იყო სადილობას აპირებდა და დაჯდა მაგიდასთან სკამზე,

რომ სკამი დაიფხვნა. ყველაფერი გაანადგურეს ტერმიტებმა, თეთრმა ჭიანჭველებმა, პატარა, მაგრამ საშინელი მაგარი ყბის პატრონმა მწერებმა.

ეს ჭიანჭველები ცხელ, ტროპიკულ ქვეყნებში ბუდობენ და თავზარსა სცემენ მცხოვრებთ. შეუმჩნევლად შეძვრებიან მაგიდაში, სკამში, კარადაში, წიგნებში, შენახულ ტანისამოსში და შეუმჩნევლადვე ანადგურებენ. შეხედავ— ნივთი მთელია, მაგრამ მოჰკიდებ ხელს თუ არა, იფხვნება. ამჟამად ტერმიტებს შხამიანი აირით ებრძვიან.

ჭიანჭველების ძოხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელევატორი



ელევატორი.

საბჭოთა კავშირი ძალიან დიდია და აუარებელი პური მოდის მის მიწაწყალზე. ხორბალს კარგად უნდა შენახვა, მშრალ ადგილას, გარდა ამისა, მას სჭირდება გასუფთავება, გადარჩევა, რადგანაც არ ივარგებს, რომ სხვადასხვა ჯიშის მარცვალი ავურიოთ ერთმანეთში. სად უნდა წავიღოთ ამდენი პური, სად უნდა შევინახოთ? აი, ამისათვის აშენებენ უზარმაზარ შენობებს, რომლებსაც **ელევატორი** ჰქვიან.

ელევატორი ძალიან კარგად არის მოწყობილი; ის ასუფთავებს, არკვევს (სხვადასხვა ჯიშის ხორბალს ცალკ-ცალკე აწყობს) და, თუ ელვატორი ზღვის პირას არის მოწყობილი, ხომალდებსაც თვითონვე ტვირთავს ხორბლით: ელევატორს აქვს 500 მეტრის სიგრძე ლენტები, რომლების განი 70 სანტიმეტრს უდრის. ამ ლენტებს ნაპირები ზევით აქვს აწეულიასე რომ ლენტი ჩვენებური წის, ქვილის ღარს წააგავს. მანქანა ელევატორის ბეღლებიდან მუდამ აყრის ხორბალს ამ ლენტებზე, რომლებიც მუდამ მოძრაობენ და ელევატორიდან ხომალდისკენ მიდიან, ხომალდზე ჰყრიან ხორბალს და ისევ ელევატორში ბრუნდებიან. ასე რომ არ იყოს მოწყობილი, მუშებს რომ გადაჰქონდესთ ზურგით ხორბალი გემზე, ეს ძვირი დაჯდებოდა, მანქანების მუშაობა კი ძალიან იაფი ჯდება. ის ელევატორი, რომელიც ზღვის პირას არ არის აშენებული, ასუფთავებს, ახარისხებს და ინახავს ხორბალს, რომ მოსახლეობას მიაწოდოს, როდესაც საჭირო იქნება. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს რაც შეიძლება მეტი ელევატორი გააკეთოს და ამ მხრივ უკვე ძალიან წინ წავიდა საბჭოთა კავშირი მეფის დროსთან შედარებით.

ყანები რომ მოიმკება, ხორბალს ელევატორის წინ ჩაჰყრიან უზარმაზარ ორმოებში, მერე აამუშავებენ მანქანებს და ძალიან დიდი ჯამები გამოექანება ორმოსკენ, აივსება ხორბლით და გაექანება ელევატორის დერეფანში, რომ ბეღლებში ჩაყაროს ხორბალი, აქედან კი ლენტები გაზიდავენ გემზე, გემი კი წაიღებს სხვადასხვა უცხო ქვეყნებში გასაყიდად. ძალიან საინტერესო და საყურადღებოა ელევატორი და ამიტომაც შენდება ახლა ძალიან ბევრ ადგილას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზინამ წვენი მოიტანა

(დასასრული)

— დილილმე, ეს რა კარგი რამ ვიპოვე! — გაუხარდა ზინას, — მოდი, შინ წავიღო. რა ლაზათიანი ცეცხლი გვექნება!

სიტევა და საქმე ერთი იყო: დადგა ქვაბი მირს, მოეჭიდა კუნძს და ხვნეშით დაუწყო გორება. ცოტა მანძილი რომ გაიარა, მოუბრუნდა ქვაბს და გადაარბენინა კუნძთან. ეხლა ისევ კუნძს მიჭეო ხელი, მერე ისევ ქვაბს და ამ ეოფით გაიარა ერთი ქუჩა, მეორე, მესამე.

უახლოვდება ზინა სახლს და თვალები უციალებს, ლოყები აჭარხლებია. ეხლა უკვე აღარ სცივა, ის კი არა და ოფლი წურწურით ჩამოსდის.

გაერთო ზინა მუშაობაში და ვერ აამჩნევს, რომ უკვე დაბინდდა. არც იმას ფიქრობს ზინა, რომ ეხლა დედაც მოსულია შინ და, ალბათ, შიშით გული უსკდება.

დედა კი მართლაც შფოთავს შინ.

— რა ვქნა, რა მოუვიდა ამ ბავშს? ვაი თუ ტრამვაიმ გადასრისა. ან თუ ავტოს მოჭეეა ქვეშ? ან, ეგებ, სადმე თხრილში ჩავარდა და გაიეინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა კარების ნელი კაკუნი.

— შემოდით!—დაიძახა დედამ. კარებში წითელარმიელი გამოჩნდა. თავი უაბალახით ჰქონდა წაკრული და მარტოკა თვალები უჩანდა.

— ვინ ვნებავთ?—ეკითხება დედა.

— თევდორე ივანოვის ოჯახი აქ ცხოვრობს? — ამბობს უცნობი,—ბარათი მაქვს თევდორესგან.

— დიახ, აქ გახლავთ... მიბოძეთ...—ამბობს დედა და ხმა უკანკალებს.

უცნობი ნელა მიუახლოვდა მაგიდას და უეცრად უაბალახი მოიგლიჯა.

— თევდორე!—შეჰკივირა დედამ და გადაეხვია.

— მამა! მამა!—ახმაურდნენ ბავშვებიც და მამას მიესხიენ. ვინ უელზე ეხვევა, ვინ ხელებზე ეკიდება.

როცა უველანი დამშვიდდენ, მამამ მიმოიხედა.

— ზინა სად არის?—იკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ზინა...—დაიწყო დედამ, მაგრამ ნატამ გააწყვეტინა:

— ვიღაც ამოდის კიბეზე!

მართლაც, გაიღო კარი და შიგ ზინა გამოჩნდა. ხელში ქვაბი ჩაებღუჯა, თავშალი გადაძრობოდა და ოქროსფერი თმები აჭარ-

ხლებულ ლოყებზე ჩამოშლოდა. მამას ვერ ამჩნევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ აბნევდა გაუგებარ სიტყვებს:

— დედილო... კუნძი... ეინვაზე წვენი...

მამამ აღარ დააცალა ამბის დათავება და ხელში აიტაცა. დედამ დამზრალი ხელებიდან ქვაბი გამოაცალა, ბავშები კი მიესიენ და სეტყვასავით აურიდენ კითხვებს: „რა? როგორ? სად? როდის?“

როდესაც ზინას მონაპოვარი კუნძი ღუმელში მხიარულად აგიზგიზდა და ყველანი სუფრას შემოუსხდენ, მამამ მიმართა ბავშებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ბავშებო, იცოდეთ, რომ დღეიდან ჰეტროგრადი გაწითლდა და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

— თეთრები აღარ მოვლენ?—შეეკითხა მიტო.

— აღარ,—გაიცინა მამამ.—ისეთი კი მოჰკურცხლეს, რომ უკანაც აღარ მოუხედნიათ.

— დღეს ჩვენ ორი გმირი გვეავს,—უეცრად გამოაცხადა მაშომ,—მამა და ზინა: მამამ თეთრები დაამარცხა, ზინამ კი ეინვა.

— გაუმარჯოს ჩვენ გმირებს—მამას და ზინას!—დაიყვირა მიტომ.

— ასე არა,—გაუსწორა ნატამ,—გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, მამას და ზინას!

— ვაშა-ა-ა!—შესძახეს ბავშებმა და მათი მხიარული ეიეინა დიდხანს ისმოდა მთელ სახლში.

მ. მ—ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური პინო.

გაცივდა და ავად გახდა
ნაწაწინა ბელა,
არსად უშვებს დედა, ვიდრე
არ გაუვლის ხველა.
მოეწყინა ბელას წოლა,
ცრემლი ჩამოსცვივდა:
,,ახ, დედიკო, ჩემს ტოლებთან
ეოფნა როგორ მინდა!''
ამ დროს კარი შემოაღეს
და მოვიდენ უცბად
ლეო, მარო, ოთარიკო,
ქეთო და ბაბუცა.
ეველა ბელას თავს ევლება,
ეველა ატიტინდა:
,,აბა, ბელა, რით გაგართოთ,
გვითხარი, რა გინდა?''
—ისეთ რამე გავაკეთებ,
რომ ბევრი იცინო!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა ოთარმა და საჩქაროდ
გამოაწყო კინო.
ელექტრონის წინ დაჯდა
თეთრი ტილოს ფარდა,
და ჰატარა კინოსურათს
სდგამს ოთარი მარდად.
,,აი, ცხენსა მიაქანებს
ლეო უშიშარი,
უნდა მთები გადალახოს,
გადაცუროს მტკვარი!''
,,ესლა მშიერ ჩვენს ბაბუცას
მიერთმევა ლომი,
მაგრამ მარო გამოსტაცებს,
და ატუდება ომი''.

ბელა წევს და თან ხარხარებს,
რომ სჩეჩავენ მაროს,
ბავშები კი იგონებენ
სცენებს სახუმაროს.
მოცეკვავე და მეხანძრე,
ბოლოს მიემატათ
ბელას დიდი მეგობარი,—
გაქეცილი კატაც!..
ამოდენა თავის დღეში
ბელას არ ეცინა
და, ბავშები რომ წავიდენ,
ტკბილად ჩაეძინა.

მარიჯან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატარა კოტე დაღვრემილი სახით მიიჯრა შინ. დედა დაფიქრებული დახვდა დუქანში, მაგრამ მხიარული სახე მიიღო და მიუალერსა შვილს.

— ხომ არ დაიღალე, გენაცვალე, რად მოღუშულხარ?

ბავშს დედის ალერსი თითქოს არც სიამოვნებს. შუბლი უფრო შეიკრა. მისი თვალები მხოლოდ ქუჩას გასცქერის.

— ხედავ, დედა, რა მხიარულებაა ქუჩაში! ჩემი ტოლები ყველანი პიონერებია. დღეს ზეიმი აქვთ. მწუობრად დაწუობილებს წინ მიუძღვებათ წითელი დროშა. ხედავ, დოლის ხმაურზე ფეხს როგორ აწუობენ, ყველას ერთნაირად აცვია.

— მერე, შენ რა გაღონებს, შენც მათთან იმხიარულე, ვინ არის წინააღმდეგი?

— მე ისინი როდი მიმიღებენ, დედი, ყველა სხვაგვარის თვალით მიცქერის, ვაჭრის შვილი ხარო, მეუბნებიან. სკოლის აშხანაგებიც ჩემთან თამაშს უკადრისობენ.

კოტე ვედრებით შესცქერის დედას. უსიტყვოდ სთხოვს დღევანდელი განზრახვის სისრულეში მოყვანას, მაგრამ დედა ვერაფერს ხვდება.

— გესმის, დედა, ვაჭრობას თავი სრულიად უნდა დაანებო.

— მერე როგორ ვიცხოვროთ? ხომ სიმშილით დავიხოცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრე გგონია! ჰეტოს მამაც ხომ ვაჭარი იყო, დღეს კი კოოპერატივში მუშაობს. ილო და ჰეტოც ჰიონერები არიან. ყველას უყვარს ისინი. მე კი....

აკვირვებს დედას ბავშის საქციელი. ვერაფრით დაარწმუნა, რომ სცდება. მაინც ის თავისას განაგრძობს, თვალებიც ქუჩისაკენ გაურბის.

მიხვდა კოტე, რომ დედასთან მშრალი სიტყვით ვერაფერს გახდებოდა, და სხვა საშვალებას მიმართა. დედას შევავიწროებ და ჩემ განსრახვას გავიყვანო,—გაიფიქრა მან. თავისი სიცელქით და მოხერხებული სიტყვა-პასუხით დუქანს მყიდველები თანდათან ჩამოაშორა. მრავალჯერ დატუქსა დედამ, მაგრამ თავისას არ იშლის.

— ეი, ძიავ! დუქანი დაკეტილია. ხომ ხედავთ, საქონელი შიგ არაფერია. ვერ წახვალთ სხვაგან? —ასეთი სიტყვებით უმასპინძლდება შემოსულ მყიდველს.

თუ დედა სადმე წავა და კოტეს დუქნის მცველად დასტოვებს, მის სისარულს საზღვარი არ აქვს. მაშინ ოინები მეტ ნაყოფს იღებს. გასაყიდ საქონელს ფასს უმატებს.

— ჰატარა ბიჭო, აწონე ერთი კირვანქა შაქარი. რა ღირს?—ეუბნება მყიდველი ქალი.

კოტე მკვირცხლად წამოხტა და უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გირვანქა შაქარი? ათი შაური.

— რაო? ათი შაური? ცეცხლი ხომ არ ეკიდება! თქვენთან რად არის აგრე ძვირი?

— ჩვენთან ფასი აგრეა. შეგიძლიათ სხვაგან იყიდოთ.

ამრიგად მყიდველების რიცხვმა იკლო. ხშირად დუქანს ჭკეტავს, როდესაც დედა შინ არ არის.

გაუძნელდა ცხოვრება კოტეს დედას. ბურის ფულიც კი სასესხებელი შეექნა. ის იძულებული გახდა დაეკეტა დუქანი, და კოოპერატივში დამლაგებლად მოეწყო. კოტეს სიხარულს საზღვარი არა აქვს. მიიღეს კიდევაც და ჩაეწერა პიონერებში. სასწავლებელშიც დადის. პირველი მოწაფეა. თავისი დაკვირვებული საქციელით ყველას შეაყვარა თავი. ხშირად დედას გვერდით დაუჯდება და ეტიტინება:

— მალე გავიზრდები და ძროხასაც შეგიმსუბუქებ, დედა! ხომ კმაყოფილი ხარ, რომ დუქანს თავი დაანებე! რამდენჯერ სიცოცხლე დაგიწყევლია, გახსოვს? იქ ნოტიო კუნჭულში სული გვეხუთებოდა. ჩუმად არაფს მიჭყიდდი, ჭიქას მთელი ბოთლის ფასად, ღვინით გალეშილ მყიდველს და აგრე დამცირებით ვირჩენდით თავს.

წარსულის მოგონება საშინელი ეჩვენება დედას, სიხარულით შესცქერის შვილს, თავს ბედნიერად გრძნობს, რომ ჯერ კიდევ რვა წლის ბავშვი ამდენ დაკვირვებას იჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მკითხველების წერილები

ზამთრის სურათი

ზამთარია, თოვლი ცვივა,
არეს თეთრ საბანს აფენს.
ხეზე ზის ბეღურა, სცივა,
მხიარულად ვეღარ ჭყრენს.
ბავშები ნამცეცს უერიან
საწყალ შიერ ღაბუას;
გუნდაობენ და დარბიან,
ხდგავენ თოვლის ბაბუას.
მზეს ელიან, თამაშობენ
ეს კომუნის შვილები,
მარხილებით ცურაობენ,
ვარდისფრად გაშლილები.

მაყვალა ბატკოშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო „ოქტომბრელის" რედაქცია. „ოქტომბრელი" გვიყვარს, ჩვენ ბევრ ლექსსა და მოთხრობას ვკითხულობთ, ამბებსაც ვგებულობთ „ჩვენი გაზეთიდან", მაგრამ ჩვენ შესახებ კი არაფერს სწერთ; როგორ ცხოვრობენ ოქტომბრელები სახლში, როგორ მეცადინეობენ ჯგუფებში, რა არის ახალი სკოლაში.

ოქტომბრელები სოსო და ლიზა.

პ ა ს უ ხ ი

როდის მოგვწერეთ თქვენი ამბავი და არ დავბეჭდეთ? მოიწერეთ და დავბეჭდავთ.

„ოქტომბრელი"

ბუს ბარტყი

ჩვენ გვყავდა ბორჯომში ბუს ბარტყი, ერთმა პატარა ბიჭმა მოგვყიდა. ბუ ჩავსვით გალიაში, ვაძლევდით რძიან პურს, წყალს, გალიასაც ვუწმენდდით, მაგრამ მაინც მუდამ აფხორილი იყო და, რომ მივუახლოვდებოდით, ჩაგვინისკარტებდა. ბუმბული რბილი და ფურფუშა ჰქონდა; თუმცა პატარა იყო, დიდი ჩანდა. ყვითელი ფართო და რგვალი თვალები ჰქონდა და სულ ეძინებოდა. დაღამდებოდა თუ არა და ტყიდან მოისმოდა ბუების ძახილი, ჩვენი ბუც გამოცოცხლდებოდა და ისიც კივილს იწყებდა. როდესაც დავინახეთ, რომ არ შეგვეჩვია, შეგვეცოდა. მაგრამ სად გავუშვებდით, ფრენა არ შეეძლო. ერთ ღამეს გალიის კარი ღია დაგვრჩენოდა და დილით ბუ აღარ დაგვხვდა შიგ. ბევრი ვეძებეთ და ვეღარ ვიპოვეთ. არ ვიცით, მისმა დედამ წაიყვანა თუ მოკვდა სადმე.

ბორჯომელი.

გ ა მ ო ფ ე ნ ა

ჩვენ გამოფენა გვქონდა საბავშო ბაღში. გამოფენილი იყო ბავშების სხვადასხვა ნამუშევარი, კედლის გაზეთი და ნუსხა, სადაც აღნიშნული იყო, ვინ რამდენჯერ მოვიდა ჭუჭყიანი და ვინ სუფთა. მას შემდეგ მე შინაც მოვაწყე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშო ბალის თამაში და ყოველთვის ვნიშნავ ნუსხაში, ვინ როგორი მოდის.

მელიკო გუგუნაშვილი.

თ ო ვ ლ ი

დედამ დილით მახარა:
თოვლი მოდის ჭალარა.
გარეთ გავედ, ეზოში
თოვლმა ფიფქი მაყარა.
მთლად დადუმდა მიდამო,
ხემ ტოტები დახარა,
მშიერმა ჩიტუნიამ
ცხარე ცრემლი დაღვარა.

ვ. სიხარულიძე.

მ უ რ მ ა ნ ს კ ი ში

ტფილისიდან რომ წამოვედით, აქ მოვედით, მურმანსკში. ჩვენ ძალიან შორს ვართ ახლა თქვენგან. როდესაც აქ მოვედით, ძალიან

მოწყენილი ვიყავი და ვტიროდი კიდევაც. მამამ მითხრა: არა უშავს, შეეჩვევი. აქაც ხალხი ცხოვრობს. მართლაც შევეჩვიე.

ძალიან ლამაზია ჩრდილოეთის ნათება. ცაზე ხანძარი ანთია. პირველად რომ დავინახე, შევშინდი და არ მინდოდა ყურება. მერე შევეჩვიე და მიყვარს მისი ცქერა. აქ ირმებით დადიან. ირმები ძალიან სწრაფად დარბიან. რომ იცოდე, რა ლამაზები არიან! ძალიან კი მეცოდებიან. აქ ძაღლებითაც დადიან, შეაბამენ ბევრს ერთად მარხილში, და ისინი ისე ჩქარა მირბიან, რომ ირმებს არ ჩამორჩებიან. გიგზავნი ჩემი პატარა დის ნახატს—როგორ დადიან ირმებით.

თქვენი დიმა.

რ ა დ ი ო - კ ო ნ ც ე რ ტ ი

რადიო-აპარატზე ზის ჩიტი და გალობს. ჩიტის გალობას გადამცემი აპარატი სხვადასხვა ვხარეს

გზავნის. ახლა შეხედეთ მეორე სურათს—ჩიტის გალობას ისმენს რადიომოყვარული ძაღლი. ისმენს და ღრინავს, ესმის და ბრაზობს, რომ ვერ ხედავს და დაჭერა არ შეიძლება.

ნ.

25 თებერვალი

მუს. გრ. კოკელაძის.
სიტყ. ალ. მაშაშვილის.



დღეს ეოველგან ზეიმია,
რომ გუგუნით გადიადრო,
ჩვენო მხსნელო თებერვალო,
საქართველოს განთიადო!

დღეს საბჭოთა ცხოვრებისთვის
მაგალითად შენ ეს მოგაქვს:
სიცოცხლე და სიხარული,
სინათლე და მშენებლობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში

სახელგამის გამოცემანი

		მან. კ.
1.	თეთრშუბლა	— 20
2.	ჰატარა ბიჭის თავგადასავალი	— 50
3.	მოისაზრე	— 50
4.	ჰატარა მშენებლები,—ფერადი სურათებით	— 80
5.	ჩემი წიგნი,—ფერადი სურათებით	— 75
6.	ათეული,—ფერადი სურათებით	— 20
7.	ჩემი მეგობრები და ნაცნობები,—ფერ. სურათებ.	— 50
8.	გოგია და მურია,—ფერადი სურათებით	1 — 25
9.	ბავშთა სიმღერები,—თ. შავერზაშვილის	— 80
10.	კომუნარის შვილისშვილი	1 —
11.	ვინ არის ყველაზე ძლიერი,—ფერად სურათებით	— 75

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1929 წ.

გ ა ბ ო ვ ა

საუბნეოილი დასურათებული ჟურნალები:

ბავშვებისთვის.	„ოქტომბრელი“	ყოველთვიური	II წ.
მოზრდილ.	„პ ი ო ნ ე რ ი“	ორკვირეული	IV წ.

ბელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	„ოქტომბრელი“ —	ერთი წლით — 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით — 2 მ.
	„პ ი ო ნ ე რ ი“ —	ერთი წლით — 5 მ. ნახევარი წლით — 3 მ.
ცალკე ნომერი	„ოქტომბრელი“ — 25 კაპ. „პ ი ო ნ ე რ ი“ — 25 კაპ.	

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი (ბეჭდვა სახელოელი). ახალგაზრდობა სეკტორი „ოქტომბრელის“ და „პ ი ო ნ ე რ ი ს“ რედაქციის.

რედაქტორი — ხარეედაქციო კოლეგია.
გამომცემელი — სახელგამი.